ხუთშაბათი, 25 სექტემბერი 1919 წ. | წელიწადი მეორე. | 1 თიშრი, 5680 წ.

# ხმა ებრაელისა

სიონიზმი მიილტვის შეჰქმნას ებრაელ ერისთვის საერთაშორისო უფლებით უზრუნველყოფილი ეროვნული ცენტრი პალესტინაში. (ბაზელის პროგრამა).

ფასი 3 მანეთი.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. ხელმოუწერილი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.
კანტორა ღიაა ყოველდღე, შაბათებისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან 1 საათამდე. ფული და ყოველგვარი კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Адвокатская ул., № 8 ред. „ХМА ЭБРАЕЛИСА".

№ 15 — ორგანო სიონისტთა ორგანიზაციის საოლქო კომიტეტისა. — № 15

לשנה טובה תכתבו

לשנה טובה תכתבו

**რედაქცია გაზეთ „ხმა ებრაელისა"** ულოცავს თანამშრომლებს და მკითხველებს

## ,,როშ-ჰაშანას"

და უსურვებს მათ ბედნიერ სიცოცხლეს- **„ხაიე ოშერ ვეყოშერ"**.

---

ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის **კომიტეტი** ულოცავს ამხანაგებს და თანამგრძნობებს.

## ,,როშ ჰაშანას".

---

ონის სიონისტთა ორგანიზაცია „ცეყირეციონი" ულოცავს თავის წევრებს და თანამგრძნობ ამხანაგებს

## როშ-ჰაშანას.

---

სუჯუნის ორგანიზაცია „კადიმა" ულოცავს თავის წევრებს და ამხანაგებს

## როშ-ჰაშანას.

---

ბანძის ორგანიზაცია **„ხეთიბა"** ულოცავს ამხანაგებს

## როშ-ჰაშანას.

---

ებრაელ ახალგაზდა მოწაფეთა ორგანიზაცია (ქუთაისის) ულოცავს თავის წევრებს და ამხანაგებს.

## როშ-ჰაშანას

და უსურვებს მათ, რომ გაორკეცებული ენერგიით და მუშაობით მოახმარონ თავიანთი მიღებული და მისაღები ცოდნა აღორძინებულ ერს და სამშობლო ერეც ისრაელს.

---

რაბინ დ. ბაზოვი (ონი) ულოცავს
**როშ ჰაშანას.**
ებრაელი ერის წარმომადგენლებს საზავო კონფერენციაზე, უსურვებს მათ სრულ გამარჯვებას ჩვენი ტანჯული ერის საკეთილდღეოთ, და ერეც-ისრაელის განთავისუფლებისათვის.

---

ისხაკ იაკობისძე ჩაჩაშვილი ულოცავს მშობლებს, მეგობრებს და ნათესავთ
**როშ ჰაშანას.**

---

აბრამ და მოშე იაკობის ძე ჩაჩაშვილები ულოცავენ მშობლებს, მეგობრებს და ნათესავთ
**როშ ჰაშანას.**

---

ი. მ. **მოშიაშვილი** ულოცავს მშობლებს და მეგობრებს
**როშ ჰაშანას**

---

შ. დ. ციციაშვილი ულოცავს მშობლებს, ნათესავთ და მეგობრებს
**როშ ჰაშანას.**
და უსურვებს, რომ მოესწრონ ისრაელ ერის და მის სამშობლოს თავისუფლათ აყვავებას.

---

ექიმი ბ. კაკიტელაშვილი მეუღლით ულოცავს ნათესავებს და მეგობრებს 5680
**როშ ჰაშანას.**

---

მ. ია. თავდიდიშვილი ულოცავს მშობლებს, ნათესავთ და მეგობრებს
**როშ ჰაშანას.**
„თახელ შანა უბირხოთეა".

---

ა. ია. მინოვიჩი ულოცავს მშობლებს, ნათესავებს და მეგობრებს
**როშ ჰაშანას.**

---

ბ. გ. ელიგულაშვილი ულოცავს მშობლებს, ნათესავებს და მეგობრებს
**როშ ჰაშანას.**

---

ს. ია. კაკიტელაშვილი ულოცავს მშობლებს. ნათესავებს და მეგობრებს
**როშ ჰაშანას.**

---

ბ. ც. ეფრემაშვილი (სუჯუნა) ულოცავს ერეც ისრაელში მყოფ მშობლებს, ოჯახობას და მეგობრებს.
**როშ ჰაშანას**

---

მ. ჯინჯიხაშვილი (ბანძა) ულოცავს ნათესავთ და მეგობრებს
**როშ ჰაშანას.**

---

ი. ი. დავარაშვილი (თბილისი) ულოცავს მშობლებს, ნათესავთ და მეგობრებს
**როშ ჰაშანას.**

---

ნ. ელიაშვილი (თბილისი) ოჯახობით ულოცავს ნათესავებს და მეგობრებს
**როშ ჰაშანას.**

---

## ქუთაისი, 25 სექტემბერი.

**როშ— ჰაშანა.** ჩვენ ყოველთვის, განსაკუთრებით კი ამ ბოლო დროს, მიმავალ წლებს გავაცილებთ ხოლმე მწუხარების გრძნობით, მაგრამ სადღაც შიგნით, ყოველთვის ანთია იმედი, თუმცა სუსტი, რომ ახალი წელი უკეთესი იქნება წარსულზე. იმედი ჩვენ გვატყუებდა, ხოლმე დრონი დგებოდენ უფრო ბნელი და უფრო საშინელი, შევიწროებისა და შეზღუდვის რკალი სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, მაგრამ მაინც იმედი არ ჰქრებოდა, ის, ხშირად ჩვენი ნების წინააღმდეგ, არსებობდა სადღაც, ჩვენი სულის მიმალულ კუთხეში. მხოლოდ წარსულ 5679 წელს ჩვენ ვაცილებთ ორმაგი გრძნობით: ,ის, იწვევს ჩვენში მწუხარებასთან ერთად აგრეთვე ღრმად სიმპტომატიურ სიამოვნებასაც. ახალი წლის თავზე ჩვენ ერს ამხნევებს რაღაც მეტი, უფრო კონკრეტიული, ვიდრე **იმედი.**

რა მოგვიტანა ჩვენ წარსულმა წელმა? —დიდი უბედურება...

მეტად მძიმეა ის სამკვიდრებელი, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ წარსულმა წელმა: ძარბევა, აწიოკება, ათასობით ებრაელ ბავშების, ქალების და მოხუცების ხოცვა, —ისეთი მასშტაბით ხდებოდა წარსულ წელს, რომლის მსგავსი ჩვენი გალუთის ორი-ათასი წლის სივრცეზე არ ყოფილა ყოველ წლიური ჯამი ჩვენი ისტორიისა, რასაკვირველია, არ ყოფილა' არასოდეს მაინც და მაინც სასიამოვნო; ყოველი წელი გვაძლევდა რაიმე უბედურებას. მხოლოდ წარსული წლის ჯამი, თუმცა ის ჯერ კიდევ სავსებით არ არის შედგენილი, მაგრამ, ის, რაც უკვე გავიდა ანგარიშის ქვეშ,—რაღაც საშინელ, შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენს. ის სულის ამაღელვებელი სურათები, – არა ადამიანური ტანჯვა-აწიოკება, რომლებიც რომაელებმა მიაყენეს ებრაელობას ერეც-ისრაელის აოხრების დროს; საშუალო საუკუნოების ინკვიზიციები, მრავალი აუტო-დაფე და სხვ. ვერ შეედრებიან იმ ჟლეტა-განადგურებას, რომლის ქვეშ ებრაელობა მოიქცა წარსულ წელს, რომლის წარმოდგენაზე სისხლი ყინდება ძარღვებში. წარსული წელი, ფაქტიურად მოიცავს ყველა უბედურებებს, რაც კი ოდესმე თავზე გადახდია ებრაელობას. ჯერ ჩვენ დაწვრილებითი „ანგარიში" —ცნობები, არა გვაქვს ამ უბედურებისა, მაგრამ, რაც ვიცით ისიც მოწმობს, რომ მომხდარა რაღაც აღმაშფოთებელი. მრავალი ათასი და ათი ათასები დახოცილი, ასი-ათასობით ქუჩებში ყრიან უსახლ-კარო, მშიერ მწყურვალნი; ეკონომიურად განადგურდა ებრაელი ერის დიდი ნაწილი.

ჩვენი ერის ინსტიქტი იმ თავითვე ახასიათებდა თავის განთავისუფლების წინასწარ დროს სწორეთ ისე, როგორც ხდება.

ჯერ კიდევ პირველ განთავისუფლების დროს, ეგვიპტედან (მიცრაიმიდან) გამოსვლის წინეთ, **ფარაონმა** სწორეთ მაშინ მიიღო ებრაელთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები, როდესაც დადგა ჟამი ებრაელთა განთავისუფლებისა, როდესაც არა მარტო ებრაელთა მონობას, არამედ ფარაონების ბატონობასაც, მათ სახელმწიფოსაც უნდა მოღებოდა ბოლო. ფარაონი მანამდის ჟინდებოდა, სანამ ებრაელებს თავიცა და სახელმწიფოც არ გადაატანა.

ისტორია მეორდება.

ეხლანდელი ფარაონებიც სწო'ეთ ისე იქცევიან.

დადგა დრო, როდესაც ებრაელი ერი უნდა განთავისუფლდეს **თანამედროვე ეგვიპტედან.** მაგრამ ეხლანდელი **„კულტუროსანი ფარაონები"** კბილებს კრეჭენ და სწორეთ განთავისუფლების ჟამს ლამობენ ბოლო მოუღონ ებრაელობას.

თითქოს ასწრებენ, ეჩქარებათ უნდათ „სანამ გვიან არაა" მოასწრონ ებრაელთა განადგურება... პოლონეთი, უკრაინა, გალიცია, უნგრეთი, ჩეხო-სლოვაკია, ბესარაბია, საფრანგეთი, გერმანია და სხვ.—ერთი მეორეს ასწრებენ; ახეთ ქვეყანაშიდაც კი, როგორც **არგენტინა** სადაც აზრშიდაც არავის მოუვიდოდა, — იქაც იფეთქა ებრაელთა პოგრომებმა. მეოცე საუკუნის „კულტუროსან ეგვიპტის" ანტისემიტიზმი ებრაელი ერის აღორძინების ჟამს, გამოვიდა შეიარაღებული მთელი თავისი ძალებით და ლამობს უკანასკნელი ლახვარი ჩასცეს ჩვენ ფიზიკურ არსებობას. მაგრამ, როგორც ძველად, ეხლაც „ეგვიპტელები" სასტიკად ისჯებიან **თვითონვე.** ვეებერთელა „ეგვიპტები" განადგურდენ; ებრაელის ერთი თვალის ამოთხრაში, ამოითხარეს საკუთარი ორივე თვალები...

მხოლოდ **ებრაულ** ენერგიას, მის სულიერ ძალას შეუძლია გამოამთელოს ჩვენი ერის დაზიანებული ორგანიზმი, მისი ეკონომიურად გაჯანსაღება.

რამდენათაც დიდია უბედურება, რომელიც ჩვენ დავიმკვიდრეთ წარსული წლიდან, იმდენათვე დიდ მნიშვნელოვანია ის დიდებითი მოვლენები, რომლებიც დაგვიტოვა იმავე წარსულ წელმა. მრავალ უბედურებათა გროვაში, ბრწყინვალე სხივად აშუქებს ის ისტორიულ მოვლენა, რომ წარსულ წელს პირველად იყო დასმული ებრაული საკითხი საერთაშორისო მასშტაბით; პირველათ ორი ათასი წლის განმავლობაში ებრაელი ერის წარმომადგენლები ამაყად წარსდგენ მსოფლიო არეოპაგის წინაშე და ხმა მაღლა ამცნეს მსოფლიოს, რომ ებრაელი ერი კიდევ ცოცხალია და აღარ სურს სხვების ოპეკუნობა; ებრაელი ერი თავის საკითხზე თვითონვე უპასუხებს: ერეც-ისრაელი—ისრაელებს!.. რომ მას აღარ აკმაყოფილებს „დიდი" სახელმწიფოების დეკლარაციები და თვითონვე გამოაქვეყნებს დეკლარაციას თავის განთავისუფლებაზე. ის მოითხოვს მხოლოდ, ხელს ნუ შეუშლიან მას აღორძინების საქმეში.

ჩვენი სურვილია დავიბრუნოთ ისტორიული სამშობლო და იქ ვიმუშაოთ საერთო ბედნიერების დასამყარებლათ.

განთავისუფლებული ერეც—ისრაელი— ისრაელებს! აი ამ დევიზით შევდივართ ჩვენ ახალ-წელში და ვიმედოვნებთ, რომ წარსულ წელთან ერთად გადიკარგება ის შავი ძალა, რომელმაც საზიზღარი ტანჯვა მიაყენა ჩვენ ერს.

ჩვენ გამოვედით ბნელი გალუთის ცხოვრებაში დროშით, რომელზედაც დაწერილია: „ჩვენ გავიმარჯვებთ". ამ დროშის ქვეშ ჩვენ ვადგამთ ფეხს ახალი წლის წელში. ეს დროშა კიდევ მთელია, ის გვაძლევს ძალას ვიბრძოლოთ უკეთესი მომავლისათვის.

חחל שנה וברכותיה

## საშინელი მაბეზღრობა.

ვის სულშიდაც ჯერ კიდევ არ გამქრალა ებრაული ნაპერწკალი, ვის გულშიაც კიდევ სჩქეფს ისრაელის სისხლი, ის ალბათ ტანჯვას განიცდის საზიზღარ მოქმედების გამო, რომელსაც ქუთაისში აწარმოებენ ისრაელი ერის საუკეთესო შვილების, სიონისტების წინაალმდეგ. გაშტერებული სდგახარ, უცქერი და თვალს არ უჯერი, ისმენ და ყურს არ უჯერი! გესმის—საშინელი სიყალბე,—საზიზღარი მაბეზღრობა,—გაცემა-ღალატი, გინება წყევლა და ბევრი სხვა. ყველა ეს-ვისგან, ვის? არა მტრისგან-მტერს, არამედ ძმისგან-ძმას, ისრაელისგან-ისრაელს. ქუთაისის ხახმები სარგებლობენ ჩვენი ხალხის უსწავლელობით და სარწმუნოების სახელით აქეზებენ ხალხს სიონისტების წინაალმდეგ, ალანძღვინებენ, აგინებინებენ, ისიც სად?—

— წმინდა სალოცავში!

სადაც უნდა ისმოდეს მხოლოდ ღვთის ქება-დიდება, იქ ისმის ლანძღვა-გინება, სადაც უნდა ისმოდეს ქადაგი ჩვენი ძვირფასი სარწმუნოებისა, აგებული ზნეობრიობაზე და კაცთმოყვარეობის იდეალზე-იქ ისმის ქადაგი მაბეზღრობაზე და კაცთსიძულვარეზე, და ყველა ეს ხახმებიდან, რომელნიც უნდა იყვნენ ჩვენი გამავითარებელნი და ბედნიერ გზისკენ მატარებელნი!... როგორ დავწვრილმანდით, დავმდაბლდით და მიწასთან გავსწორდით! ისრაელი და ეს? ჯამაათის წინამძღოლნი „რაბები" „ხახმები" და ხალხის წამქეზებელნი მაბეზღრობაზე? ნუთუ გულწრფელი ისრაელის თვალი არ აცრემლდება? მათ გაუგზავნეს მაბეზღრობის დეპეშები მთავრობას, ვითომც სიონისტები პროვოკატორები და მთავრობის მოღალატენი იყვნენ!..

ეს არის მაბეზღრობა მთელ ისრაელის ერზე, რადგან დღეს მთელი მსოფლიო ისრაელობა სიონიზმის გარშემო იყრის თავს და თუ საქართველოს სიონისტები მთავრობის მოღალატენი არიან, მაშ ყველა სახელმწიფოს სიონისტები მოღალატენი ყოფილან თავიანთი სამშობლოსი!.. ამას დღემდის შმაკოვის და პურიშკევიჩის პირიდან თუ გაიგონებდით,-დღეს კი ჩვენი „რაბანიმებიც" ამაზე ლაღადებენ!... წინეთაც ვსწერდი ჩვენი ხახმების უსწავლელობაზე, გაუნათლებლობაზე, რომ მათ სრულებით არ ესმით ისრაელ ერის წარსულ-მომავალი, დღეს მათ შესამჩნევათ დაიჭირეს „ეკზამენი" თავიანთი უცოდინარობისა! მათ ვერ გაურჩევიათ მეგობარი და მტერი. ისრაელ ერის ერთგული მათ მტრებათ მოუნათლავთ და ნამდვილი მტრის ბანაკში კი გაქცეულან! იქიდან, როგორც შავრაზმელი პურიშკევიჩები მოსდგომიან ისრაელზე მაბეზღრობას და ცილის წამებას! ისინი სიონისტების დაბეზღებით რას შვრებიან, რას სჩადიან, საბრალოებს ანგარიშიც კი ვერ გაუწევიათ თავიანთ მოქმედებისთვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველებს ესმით, რა მიზეზით და ვისგანაა გამოწვეული მაბეზღრობა სიონიზმზე: 1) ან უკიდურესი ფანატიკოსებიდან, რომელნიც უგნურათ ილაშქრებიან, 2) ან სულიერათ ავადმყოფ ორიოდე ასსიმილატორებიდან. პირველებს რომ ესმოდეთ თავიანთი დანაშაული, ენას ჩაიკვნეტდენ, მიხვდებოდნენ რომ თვისი მარჯვენა ხელით მარცხენა ხელს იჭრიან. მაგრამ მათ ეს არ ესმით და მათ „დანოსებს" ქართველი ხალხი ანგარიშს არ გაუწევს. მეორეებს, ე. ი. ასსიმილატირებს ქართველი საზოგადოება არამც თუ ანგარიშს არ გაუწევს, არამედ ვიმედოვნებთ, ზიზღის თვალითაც შეხედავენ.

რაც გინდა პატრიოტიული წერილი დაბეჭდილიყო პოლონეთის ებრაელ-გაზეთებში მაინც გადატრიალდებოდა, (ფამახინჯდებოდა) და პოლონეთის გაზეთების ფურცლებზე სხვანაირათ კითხულობდა პოლონეთის ხალხი. რა იყო ამის მიზეზი? ამის მიზეზი იყო ასიმილიატორი ფურშტეინი, რომელიც ყალბ მაბეზღრულ ცნობებს აწვდიდა ებრაული გაზეთებიდან პოლონეთის გაზეთებს. ჩვენდა სამწუხაროთ, ასეთვე მოვლენას აქვს ადგილი საქართველოშიდაც. ეს ოთხი წელიწადია, რაც ჩვენი ორი თუ სულიერათ მახინჯი სტუდენტი, რომლებიც ალბათ რუსულ უნივერსიტეტში აღჭურვილან ებრაელების სიძულვარით და საზიზღარ საშვალებებს ხმარობენ. გვაბეზღებენ ქართველ ხალხთან, თითქოს ჩვენ, რაკი სიონისტები ვართ, აღარ შეგვიძლია საქართველოს ერთგულნი ვიყოთ. ამიტომაც გაზეთებში სწერენ, თითქოს ჩვენ საქართ. მთავრობას ვებრძოდეთ. ჩვენდა საბედნიეროთ, ქართველები პოლონელებს არ წაჰგავენ და მათსავით არ აყვებიან სულით მახინჯებს და ფანატიკოსებს დიახ ქართველებს პოლონელებივით არ სჭირიათ „პერევოდჩიკები"—თითონაც კარგათ ხვდებიან ჩვენს ნაწერს და ნალაპარაკევს!.. ქართველმა ხალხმა ისიც იცის რომ მთელ ევროპაში უმაღლესი პოლიტიკის მაწარმოებელი ებრაელები არიან და თითქმის ყველანი სიონისტების ბელადები! ოსკარ შტრაუსი, რომელიც საზავო კონფერენციის მუშაობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სიონისტი არ არის? სამუელ მონტევიუ, ინგლისის მთავარ. მინისტრი სიონისტი არაა? ლუი ბრანდეისი, ვილსონის თანაშემწე განა სიონისტი არ არი? თუ კი სიონისტობა „სამშობლოს ღალატია"—მაშ რათ არიან სიონისტები დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის მაწარმოებელნი?

ყველასთვის ცხადია, რომ სიონისტს თავის სიონიზმობა ხელს არ უშლის იყოს საუკეთესო პატრიოტი თავის სამშობლოსი. საქართველოს სიონისტებს არა ნაკლებ ასიმილიატორებისა (!) —ვსთვლით საქართველოს ერთგულ შვილებათ. ეს ქართველმა ხალხმაც კარგათ იცის და ვინც არ იცის დეე მან ახლა გაიგოს. დიდათ პატივცემულს ჟორდანია—ჩხეიძე—ჩხენკელს—რამიშვილს-გეგეჭკორს წერეთელს და სხვებს ჩვენ უკეთ ვაფასებთ ვიდრე ჩვენი ასსიმილატორები, ვინაიდან ჩვენ ებრაელის ერის გაუყოფელ ნაწილათ ვსთვლით თავს და ის ღვაწლი, რაც მათ მიუძღვით ებრაელ ერზე რუსეთში, დაუვიწყარია ჩვენთვის და დაუვიწყარი იქნება. ასსიმილიატორები კი როგორც „ქართველები" ამ ღვაწლს ვერ იგრძნობენ. და თუ ჩვენს უფლებებზე ვმაობთ რასმე ჩვენ ქართველებთან სადაო საკითხები არ გვაქვს რა. ჩვენი სურვილია ერთი: ჩვენმა მთავრობამ კარგათ გაიგოს ჩვენი მოთხოვნილება. ჩვენი ხახმები თავიანთი აგენტი დავარაშვილით არ მიგვაჩნია ჩვენი საკითხების მცოდნეთ. ვერ ვენდობით ვერც ასსიმილატორებს, რომელნიც ატყუებენ ქართველებს. ჩვენ გვსურს დემოკრატიული არჩევნებით მოეწყოს ყრილობა საქ. ებრაელთა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ჩვენი ცხოვრების საკითხები ჩვენ მხოლოდ მივაქცევთ მთავრობის ყურადღებას იმაზე, რომ მას ელაპარაკებიან საქართველოს ებრაელთა სახელით სრულიად უპასუხისმგებლო პირები. აი ამას ჩვენი ხახმები ასსიმილიატორებთან ერთად უწოდებენ საქართველოს მტრობას, მთავრობასთან წინაალმდეგობას.

მაგრამ განა მეტს მიუდგომლობას ვერ გამოიჩენს ქართველი საზოგადოება, რომ სწორეთ მიუთითოს, ვინ არის ნამდვილი მტერი და ერთგული?

რაბინი დ. ბააზოვი.

## საახალწლო მილოცვები.

„აგუდას": დაგწეროთ ღმერთმა კაი საწერელზე—გასიონისტებაზე.

**ქუთაისის ხახმებს:** რეფუა თქვენ პოლიტიკას.

**ქუთაისის ჯამაათს:** განთავისუფლება ხახმების ბატონობისგან, „ხაიე ოშერ ვეყოშერ".

**მოსეს სჯულის მიმდევარ ქართველებს:** რა გისურვოთ? რა გეპიროთ?.. თქვენც რეფუა.

**ხახამ დეპუტატ დავარაშვილს:** იქპირაცონ, რომ ამ მომავალ წელს მაინც

## სადარაჯოზე.

(ლეგენდა ებრაულიდან)

„უთშუბა, უთფილა უცდაკა, მაყაბირინ ეთ როაყ ჰაგზერა".

I

დიდი **სამართლის** წინასწარ დღეებში, უფლის ტახტის წინაშე გადაიშლება „**წიგნი მოქმედებათა ადამიანისა**". და იქიდან ამოიკითხება ყველაფერი, რაც უმოქმედნია კაცსა და ხალხს. კეთილიცა და ბოროტიც, ნათელიცა და ბნელიც ისინჯება, იზომება და იწონება. და უფალი ქმნის სამართალს ყოველ სულდგმულსა ზედა და „განგებათა წიგნში" იწერება, რა უნდა გარდახდეს თვითეულ ადამიანს.

და მრისხანე სამართლის ჟამს უფლის ტახტის საფეხურთან ბნელსა და ნათელ ძალებთა შორის სწარმოებს ბრძოლა ტანჯული ერის ბედისათვის. და ვაი ისრაელს თუ ბნელმა ძალამ გაიმარჯვა: მაშინ მას მოელის უბედურება და ტანჯვა-წამება. მაგრამ უფალმა, თვისი მოწყალებით, მისცა შეძლება მკვდოვანთა გასწორდენ სამართლის შემდეგაც და სრულებით შესცვალონ განაჩენი სინანულის (თეშუბა), ლოცვისა და მოწყალების (ცედაკა) საშუალებით.

მხოლოდ, სანამ მონანიება, ლოცვა და მოწყალება მიაღწევდენ უფლის ტახტამდის, მათ უნდა გაიარონ წინასწარი დარბაზი, სადაც ირკვევა მათი სიწმინდე, და თუ ნაკლოვანება, თუ გინდ სულ მცირეც, აღმოჩნდა, მაშინ სატანა თვისი ლაშქარით დახურავს უზენაეს კარსა და არ დაუშვებს უფალთან. ყველაზე მაღლა სდგას—მონანიება, შემდეგ-ლოცვა და უკანასკნელად-მოწყალება. მაგრამ წინასწარ დარბაზში ყველაზე წინ შედის მოწყალება, რომლის სამზღვარია სამართლის დღის (ქიფურის) წინა დღე. მის შემდეგ მიდის მონანიება და ყველაზე ბოლოს, დარბაზის დაკეტის წინ, მივა ლოცვა.

* * *

იმ წელს ბრძოლა ისრაელი ერის ბედისთვის იყო განსაკუთრებით ძლიერი და სასტიკი. და ეს იყო გმირთა გმირი, წმინდა **ბაყალ-შემის** დროს, რომელიც უბრძანებდა ანგელოზებს და გაბედულათ გამოსთქვამდა თავის ნებას უზენაეს სასახლეში. და თავადმა სიბნელისამ გააძლიერა გულის წყრომა. შეიტყო რა რისხვა უფლისა, როდესაც კარი შეწყალებისა იყო დაკეტილი, გამოვიდა მთელი თვისი ბნელი ძლოვანობით, შეუბრალებელი ბრალდებულებით ისრაელის წინააღმდეგ. და გაიმარჯვა კიდეც მან. განაჩენი სასტიკი, არაჩვეულებრივი თვისი საშინელებით, იყო გამოტანილი.

ზეციურმა ძალებმა, დაემორჩილენ რა სვე-ბედს, არ შეატყობინეს ეს ამბავი **ბაყალ-შემს იომ-ქიფურის** დღემდის.

II

დადგა **იომ-ქიფურის** წინადღე.

ისრაელნი უფრო და უფრო იმსჭვალებოდენ ამ დღის სიდიადითა და სიწმინდით, სისწრაფით იცილებდენ თავიდან დღიურ ზრუნვა-ფიქრებს და ემზადებოდენ მრისხანე და დიდებული ჟამის შესახვედრათ. უკვე შუადღიდანვე ქუჩები იცლებოდენ, ყველანი ჩქარობდა, სისწრაფით კეტავდენ სავაჭროებს, ყველა მიიჩქარის სახლისკენ. ცოტა ხნის შემდეგ დაცარიელდენ სახლებიც: მიდიან **წმინდა სახლში**,—ასობით ყველა კუთხიდან მოატყდენ ძველ სინაგოგას ებრაელები. ყველა თეთრათ ჩაცმულები, თაფლის სანთლით ხელში, შედიოდენ სალოცავში, რომელიც აღვიძებდა მათ სულში ათასწლობის გამოძახილს...

სალოცავის ეზოში მწკრივად გამბული იდგენ მათხოვრები და უპოვარნი ხელგაშვერილნი; ყუთებით და საინებით აგროვებდენ საქველმოქმედო საქმეებისთვის. და ისრაელები, ყველა შეძლების დაგვარად სიხარულით იღებდენ წვლილს. თანდათან იცლებოდა სალოცავის ეზოც... უკანასკნელად გაისმა ხმა ბრმა მათხოვარი ქალის ყუთში ჩაგდებული გროშისა.

მთელი ცხოვრება მოთავსებული იყო სალოცავში, რომელიც აღინთო ცეცხლითა და ზეიმით.

მჭიდროთ მოგროვდენ მრავალი ასეული ხალხი, შეერთებულნი ერთი გრძნობითა და ფიქრით; მჭიდროთ მოგროვილიყვენ მაღალი და სწორი სანთლები და ყველანი მთრთოლავი ალით მიილტვოდენ მაღლისკენ, საითკენაც მიპყრობილი იყო აზრი და გრძნობა ხალხისა.

გარშემო სიჩუმეა. ყველაფერი გაიკმიდა, ისრაელები გაშტერებულნი, აღფრთოვანებით მოელოდენ იმ ჟამს, როდეს ხაზანი დაიწყებდა **ქოლ-ნიდრეს** და ზეიმით შევიდოდენ **ქიფურის** წიაღში.

წმინდა **ბაყალ-შემი** დილიდანვე იყო დაწყნარებული, მშვიდი და მხიარული და ბრწყინვალე სახით აკურთხევდა თავის მოწაფეებსა და მნახველებს. მაგრამ, რამდენათაც დღე საღამოსკენ იხრებოდა და მზის ჩასვლა ახლოვდებოდა, იმდენათ იცვლებოდა წმინდა **ბაყალ-შემის** განწყობილება და მხიარულება სცილდებოდა მას. მარხვის წინა ტრაპეზი მოწაფეთა წრეში, მან გადაიხადა სიჩუმით და მოწყენილად, თითქოს საჭმელი პირზე არ მიუკარებია და იჯდა უძრავლათ თავჩაღებული. მხოლოდ ერთხელ წამოიღო თავი და დასტურებით შესცქეროდა **რაბი დავითს**, რომელსაც უნდა წაეკითხა ქოლ-ნიდრე. **რაბი დავითი** ათრთოლდა, აკანკალდა, ის ჩაფიქრიანდა: ვაი თუ რაიმე ნაკლოვანება არის ჩემს ფიქრებში ან მოქმედებაშიო, მაგრამ ვერა იპოვა რა.

და როდესაც **ბაყალ-შემმა**, სალოცავში წასვლის დროს მაღლა ასწია თვალები და დაინახა ცა გაშავებული სქელი, ბნელი ღრუბლებით, მის სახეს დაედო ძლიერი მწუხარების გამომეტყველება. და როდესაც ის შევიდა სალოცავში და დაიჭირა ადგილი ამბიონთან (თებასთან), მისი სახე დაბნელდა ღრუბლებზე მეტად, რომლებიც აშავებდენ ცას.

მოწაფეები, რომლებიც თვალს ადევნებდენ ყოველ მოძრაობას ბაყალ-შემისას, ჩავარდენ შემაძრწუნებელ შიშში, მაგრამ რწმენა მასწავლებლის უსაზღვრო ძალაში, აძლევდა მათ მხნეობას და ითმენდენ ხმა ამოუღებლად.

**რაბი დავითი**, რომელსაც დაავიწყდა მსოფლიო და თვით თავის თავიც და რომელიც მზათ იყო მიეტანა თავის თავი მსხვერპლად ისრაელი ერისთვის, იდგა თებაზე და უცდიდა მასწავლებლის ბრძანებას, რომ დაეწყო ქოლნიდრე.

მაგრამ ბაყალ-შემი იჯდა შეუძრევლად, როგორც ქანდაკი. მისი სახე თითქოს გაქვავდა, გადიქცა თეთრი, როგორც ცარცი და წამოსკდა ცივი ოფლი. თვალებიდან მოსდიოდა ცრემლები, და სდუმდა, თითქოს დავიწყნოდა სად იმყოფება და როგორი ჟამი დადგა. და გარშემო ყველამ წინასწარ გრძნობით გარემოცულნი, სუნთქვა შეწყვიტეს და ელოდიდენ: წუთები ეჩვენებოდათ საათებად, საათი—საუკუნეთ,—ბაყალ შემი ჯერ კიდევ სდუმდა. შეწუხება გადავიდა შიშზე, შიში საშინელებაზე, და ყველას გულში იზრდებოდა ოხვრა-კვნესა და თითქმის მთელი სალოცავი აქვითინდა.

ამოგელოს ხმა დამფუძნებელ კრების დარბაზში, თუ გინდ ხანანაშვილის კარნახით.

**ქუთაისის სიონისტებს:** გაფუვდით, გამრავლდით და აავსეთ იგი ქუჩა ებრაელისა.

**გაზ. ,,ხმა ებრაელისას‘‘:** არ ისუნტლოს შენზე „ყაინ არაყმა“ და არც „ლაშონ არაყმა“.

**„ხმა ებრაელისა‘‘ რედაქტორს:** პალესტინაში გადასახლება.

**ჩვენ ექიმებს:** გისურვებთ ებრაელების ამბულატორიის გახსნის დაჩქარებას.

— ლი

# ებრაელთა წარმომადგენელნი ო. უორდროპთან თბილისი.

6 სექტემბერს, დღის პირველ საათზე, წარუდგენ დიდი ბრიტანეთის მთავრობის მთავარ კომისარს ამიერ კავკასიაში ო. უორდროპს, თბილისის ებრაული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე **რ. ფრეიდზონი**, საქართველოს სიონისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე **მ. შტრეიხერი**, და თბილისის სიონისტთა ორგანიზაციის გამგე **მ. ლევინსონი**. მოკლე, მაგრამ მხურვალე სიტყვით მიესალმა **რ. ფრეიდზონი** თბილისის ებრაელთა სახელით, შემდეგ უორდროპს მიესალმა საქართველოს სიონისტთა სახელით მ. შტრეიხერი, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „მისტერ! მე მოგესალმებით თქვენ იმ ორგანიზაციის სახელით რომელთანაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა აწარმოებდა მოლაპარაკებას 1917 წელს, როგორც ებრაელი ერის წარმომადგენელთან, ეროვნული ცენტრის შექმნის შესახებ პალესტინაში...

...ჩვენ გვწამს, მისტერ, რომ ინგლისის მთავრობა, ყოველთვის დემოკრატიული, მოკავშირეებთან ერთად, ხმა მაღლა შესძახებს გამხეცებულ ბრბოებს: „შეჩერდით, კმარა!“ და შესწყვეტს ებრაელი ერის დარბევას...“

**უორდროპმა** მადლობა გამოუცხადა მისალმებისთვის და წარმომადგენლებს შეეკითხა საქართველოს ებრაელთა ცხოვრების შესახებ. ის შეეკითხა თბილისის ებრაელთა რაოდენობის შესახებ, როგორი დამოკიდებულებაა ქართველებსა და ებრაელთა შორის, ებრაული შკოლის მდგომარეობის შესახებ და სხვ. წარმომადგენლებმა მისცეს სათანადო პასუხი ებრაელთა რაოდენობისა და შკოლის შესახებ. რაც შეეხება ქართველების დამოკიდებულებას ებრაელებთან, წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ, როგორც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ეხლაც ებრაელები ცხოვრობენ ქართველებთან, როგორც ძმებთან და ძალიან კარგათ გრძნობენ თავსო.

შემდეგ **მ. ლევინსონი** შეეხო პალესტინის ლტოლვილთა გამგზავრების საკითხს და სთხოვა უორდროპს ნება დაერთო ამ ახლო დღეებში კიდევ დაბრუნებოდა ამ საკითხს.

მ. ი.

# რადიო.

(პატარა ფელეტონი)

**ზეცაში საჩქაროდ.**

მებრძოლ ანგელოზთა მთავარ სარდალს „სამეხ-მემ“ არაშაყს.

სიონისტთა ბანაკი გაძლიერდა. სასტიკი იერიშები მოაქვთ. მოგველის დამარცხება და ციხე-სიმაგრეების დატოვება. გთხოვთ საჩქაროთ მოგვაშველოთ ანგელოზთა რაზმი, თორემ საკუთარი ძალებით ვეღარ შევძლებთ მტერთან წინააღმდეგობას.

ქუთაისის ხახამთა შტაბის მეთაური, თქვენი მეგობარი ხახამ მოშე დავარაშვილი.

**ქუთაისში.**

ხახამთა შტაბს.

თქვენი ტელეგრამა, რომლითაც გვთხოვთ ანგელოზთა რაზმის გამოგზავნას მივიღეთ. ძალიან ვწუხვართ რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილხართ. ჩვენდა სამწუხაროთ, ამ ჟამად არ შეგვიძლია თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილოთ და ვერც ერთ ანგელოზს ვერ გამოვგზავნით თქვენ დასახმარებლად, ვინაიდან არც ჩვენ ვართ უკეთეს მდგომარეობაში. როგორც იცით ეხლა „იამამ ნორაიმ“,-ია, რომ აშანა და ქიფური კარზე გვადგია და დიდი ბრძოლა გვეხდება ნათელ ძალებთან. მოპირდაპირენი ძალიან მზადებაში არიან; მოსალოდნელია, რომ მთავარ ანგელოზი მიხაელი გაიმარჯვებს და სამუდამოთ დავმარცხდებით.

ამიტომ გთხოვთ საერთო უბედურების თავიდან ასაცდენათ, ამოხვიდეთ აქ მთელი შემადგენლობით და გავმართოთ საერთო თათბირი.

თქვენი მეგობარი: „სამეხ-მემი“,

—

P. S. ვინაიდან ამ თათბირზე „მოსეს რჯულს მიმდევართა“ დასწრებაც აუცილებელია, გთხოვთ თქვენთან ერთად ისინიც ამოიყვანოთ აქ.

ნ—ნ.

# წკიპურტები.

**ი. ხანანაშვილი**—ისრაელ ქართველი, მოსეს რჯულის მიმდევარი „საქართველოს“ ენამეტყველი თანამშრომელი სიონიზმის მტერი. საქართველოს ურაპატრიოტი.

**მ. ხანანაშვილი** იგივე ისრაელ-ქართველი, იგივე მოსეს რჯულის მიმდევარი. ამბობენ, პროფესორებს ხშირათ ებაასება უნივერსიტეტში ქართველ ებრაელების საკითხზე; მომავალში ალბათ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (Sic)! სოციალისტ-ფედერალისტი, მსხვილი-მემამულე ბურჟუა! არ ვიცით, რა კავშირი აქვს ხსენებულ პარტიასთან.

**ხამი**—ჯერ უცნობი, მაგრამ მეტათ დამახასიათებელი ფსევდონიმი მისი ავტორისა.

**ისრაელი ქართველი, მოსეს რჯულის მიმდევარი** - ტერმინები, გამოგონილი ი. და მ. ხანანაშვილების მიერ, სახელის განსათქმელათ ოა თფილი ადგილების მოსაპოვებლათ.

**„აგუდათ ისრაელი“**—ვიწრო წრე ბნელი ძალებისა, შეიარაღებული ინტელიგენციასთან საბრძოლველათ, წრე ებრაელების ქუჩაზე სიბნელის გამავრცელებლებისა.

**„ხახამ მოშე აკატანი**—„ნედორაზუმენიე“ დეპუტატი

**მ. დავარაშვილი**—უსწავლელი, პატარა პაწაწკინტელა კაცი, „რევოლიუციით მონაპოვარი“ ხახამი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, თუმცა თვითონ რეაქციონური აზრებით გაჟღენთილი კლერიკალია.

**ქუთაისის რაბანი**—საკანაფულოს არაფრით არ ჩამოუვარდება. სწავლა-განათლების და საერთოთ კულტურის მტერი.

**სიონიზმ**—საშინელი მოჩვენება „აგუდათ ისრაელის“ წევრებისათვის.

**ქუთაისის სიონისტები**—ისეთი ნასწავლი და მოსწავლე ახალგაზდები, რომლებიც ძილს და მოსვენებას უფრთხობენ ბნელ ძალებს—ხახმებ და მათ თანამოაზრეებს.

**სწავლა—განათლება,**—რაღაც „საშინელება“, რაც მეტათ **ხძულთ** ხახამ-დეპუტატს მ. დავარაშვილს და ებრაელებში მოთარეშე ბნელ-ძალებს.

**ლანძღვა გ-ნება და ჩხუბი,**—რაც დღეს სალოცავებში გამეფებულია.

**ამბულატორია**—ისეთი სამკურნალო, რომლის გახსნა აუცილებელია ქუთაისის ებრაელებისთვის, მაგრამ....... „აგუდას“ მიერ სამუდამოთ დამარხული.

**ფასუკები**—ის, რაც სალოცავში საშინელ ფასებში იყიდება, მაგრამ მოგროვილი ფულები უანგარიშოთ იფლანგება.

**ებრაელის ქალი**—ყოველივე უფლებას მოკლებული, დატანჯული არსება.

III.

თოვლივით თეთრი, წყნარი და მშვიდი ანგელოზები ყოველი კუთხიდან მიფრინავდენ **წინასწარ სასახლეში** და მიაქონდათ ისრაელების მოწყალება (ცედაკა). მიაქონდათ საჭმელი, ტანსაცმელი და ფული. და თითქმის ყველაფერი, რაც მოაქონდათ მათ, ოქროსავით ანათებდა ბრწყინავდა ალმასივით და სიხარულით მიისწრაფოდა უფლის ტახტისაკენ. ანგელოზები გაფრთხილებით და წმინდათ აგროვებდენ ყველაფერს და აწყობდენ ერთად. მაგრამ მოწყალება იყო მცირე და ცოტა, ვინაიდან მცირე და უმწეო იყო ერი ისრაელისა. და როდესაც ანგელოზმა მოიტანა უკანასკნელი მოწყალება, გროში ბრმა ღარიბი ქალისა, სასახლეს საფეხურთან გამოჩნდა სატანა, თავხედი და მხიარული და შავი ფრთით გაალო ფარდა და გამოჩნდა სურათი, რომელზედაც ერთი წამის განმავლობაში გადიშალა რამოდენიმე ათეული წლის ცხოვრება.

* * *

ერთ სოფელში ცხოვრობდა ებრაელი. საქმე სულ უფრო და უფრო გლახად უტრიალდებოდა, ოჯახის ტვირთის ტარება გაუძნელდა. და როდესაც მოუვიდა ვადა იჯარისა, მან ვერ გადიხადა. დიდი ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა, მან დაათანხმა **ბატონი**, რომ მოეცადნა მომავალ წლამდის და დაპირდა, რომ ორი წლის ერთად გადაეხადნა. მაგრამ, როდესაც დადგა ახალი ვადა, მან ვერც მაშინ შესძლო იჯარის გადახდა. ბატონი გაბრაზდა და, როგორც იმ დროს ჩვეულება იყო, საწყალი ისრაელის ოჯახი ორმოში ჩაყარა, თვითონ ისრაელი კი დასტოვა თავისუფლად, რომ [ეშოვნათ ფული ცოლ-შვილის გამოსასყიდლათ. ბატონმა განუცხადა მას, რომ მოგიცდი კიდევ სამ თვეს და თუ ამ ხნის განმავლობაში არ გადაიხდი ორი წლის იჯარას, მაშინ შენ ცოლსა და შვილებს პურსა და წყალს აღარ მივცემ და სიმშილით დაიხოცებიან ორმოში. დაღონებული ისრაელი შეუდგა გზას: იარებოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და თხოულობდა დახმარებას. ისრაელები ეხმარებოდენ, მხოლოდ ვერ შესძლეს მიეცათ, რამდენიც იყო საჭირო, რადგან იჯარა იყო დიდი, ისრაელები კი იყვენ უმწეო და ღარიბები. გავიდა ორი თვე. ძალიან დაშორდა თავის სახლს. ის დაიღალა, ფეხებმა ვეღარ შესძლეს სიარული, მოგროვილია სულ რამოდენიმე ოქრო, ძალიან მცირე ნაწილი იმისა, რაც იყო საჭირო გამოსასყიდათ. საბრალო ისრაელი ჩავარდა სასოწარკვეთილებაში.

ერთხელ, როდესაც ისრაელი, მშიერი და დაღლილი, მიეთრეოდა გზაზე, მოესმო ცხენების ფეხის ბაკუნი. მოახლოვდა კარეტა, რომელზედაც იჯდა თავადი №. თავადს თან ახლავდა რამოდენიმე მცველები, რომლებმაც დაქანცულ ისრაელს ხელი უწიანეს და წააქციეს. თავადმა უბრძანა წამოეყენებინათ ისრაელი და ჰკითხა მას ვინაობა. ისრაელმა უპასუხა ყველაფერზე და მოუყვა თავადს, რა უბედურება მოვიდა მის თავზე. თავადმა მოისმინა და შეეკითხა:

— რამდენი ხანია, რაც შენ დადიხარ?

— ორი თვე,

— რამდენი მოაგროვე ჯერ?

— ათი ოქრო.

— და, რამდენი გჭირია შენ ოჯახის გამოსახსნელად?

— სამასი...

თავადმა გაიცინა. გადაუგდო ისრაელს 300 ოქრო და გასწია.

* * *

ტაეცენ თუ არა ოქროები მიწაზე, იქვე სატანამ წაიღო და მიიტანი აქ, სადაც მოგროვილიყო ებრაელთა მოწყალებანი. ამ ოქროების სხივიდან იქვე გაშავდენ ებრაელთა კაპეიკები და გროშები და კიდევ უფრო დამცირდენ. სატანას უნდოდა ფეხი ეკრა და გადაეყარა **წინასწარ სასახლედან** ებრაელთა მოწყალებანი.

—

ამ დროს, წმინდა ბაყალ-შემი, თითქოს გამოღვიძებოდა, მობრუნდა და თავზარ დაცემული, ხმა მაღლა დაიძახა:

— სად არის სოფლელი **ხაიმი?** მოვიდეს აქ ჩემთან!

შეჰკრთა მთელი სალოცავი, გაოცებული მოულოდნელი მიმართვით. და ყველამ გაიფიქრა, რომ ალბად საწყალ ხაიმს რაღაც დიდი ცოდვა ჩაუდენია და ამიტომ არ შეიძლებოდა **ქოლ-ნიდრეს** დაწყებაო. საწყალ ხაიმს მთელი სალოცავი მრისხანეთ უყურებდა.

ხაიმი გამოვიდა ბრიყვული შიშით სახეზე, გადადგა, რამოდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა დაბნეული.

— მოდი აქ, ნუ გეშინია! - უთხრა მას რბილათ წმინდა ბაყალ შემმა.

ხაიმი გაუბედავი ნაბიჯით მივიდა თებასთან.

— ხაიმ, იცნობდი შენ თავადი №-ის ძაღლს?—

შეეკითხა მას ბაყალ-შემი.

ხაიმი გაშტერდა მოულოდნელი შეკითხვით და არ იცოდა რა ეთქვა.

როდესაც ბაყალ-შემმა გაიმეორა თავის შეკითხვა, ხაიმი გასწორდა და უპასუხა:

— თავადის ძაღლს? ვინ არ იცნობდა მას? ყველამ კარგად იცოდა ეს ძაღლი...

— მოყევი, რა მოუხდა მას?

— ის იყო ძალიან კარგი და კეთილი ძაღლი,—დაიწყო ხაიმმა‘—თავადმა იყიდა ის 1000 ოქროდ და უიმისოდ არსად არ წავიდოდა. მაგრამ ერთხელ, როდესაც თავადს ესტუმრენ ჩინებული სტუმრები და ძაღლმა დაჰყეფა მათ, თავადს გული მოუვიდა, აიღო თოფი და მოჰკლა.

— მოჰკლა!—გაკვირდა ბაყალ შემი, როგორ არ შეეცოდა ასეთი ძვირფასი ძაღლი? მან ხომ 1000 ოქრო გადაიხადა მისთვის?

— რა მნიშვნელობა აქვს თავადისთვის 1000 ოქროს. მისთვის ეს არაფერია, უპასუხა ხაიმმა.

წმინდა ბაყალ-შემი გაიმართა და ხმა მაღლა სთქვა:

- გესმით, ისრაელნო? თავადისთვის 1000, და მით უფრო 300 ოქროს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ებრაელების კი თვითეული კაპეიკი [გაჟღენთილია ნამუშევარი ოფლით!.. ეხლა, **რაბი დავით** დაიწყეთ ქოლ—ნიდრე!

—

გამოსთქვა თუ არა ბაყალ-შემმა თავისი სიტყვები, ოქროებს იქვე ფერი დაეკარგათ, გაშავდენ, ებრაელთა გროშები კი ისევ ვარსკვლავივით მოკაშკაშეთ გახდენ. ბრმა ღარიბი ქალის გროში პირველათ მოსწყდა ადგილს, გასჭრა დამაბრკოლებელი კედელი და გაექანა უზენაეს ტახტისაკენ, მას გაყვენ დანარჩენი მოწყალებანი ებრაელებისა.

დაცარიელებულ სასახლეში დარჩა სატანა გაშტერებული და შერცხვენილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ს.

# კვირას, 28 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე სიო-ნისტთა კლუბის დარბაზში შესდგება

# სიონისტთა საერთო კრება.

დღის წეს-რიგი: 1. მოხსენება კომიტეტის თავის მოქმედებაზე წარსულ წელს. 2. არჩევნები ახალი კომიტეტისა. ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

**კომიტეტი.**

**ბავში**—იყოფება სამ კატეგორიათ. პირველი, უმრავლესობა, რომლებიც, „აგუდათ--ისრაელ" თანამოაზრების წყალობით ქუჩაში არიან გადაყრილი ღვთის ამარათ; იმათში ირიცხებიან: მეჩისტეები, მეკალათეები, მედროგეები, „სპიჩკა—პაპიროსის" გამყიდველები და ჯიბგირებიც კი (საცოდავი ბავშები); მეორე კატეგორიის: მომავალში—ვაჭრები; მესამე კატეგორია: ევროპიულად მოსწავლე ბავშები, რომელთა რიცხვი ჯერ, საუბედუროთ, მცირეა, მაგრამ, საბედნიეროთ, დღითი დღე მათი რაოდენობა იზრდება.

არშინ-მალ-ალანი-ქუთაისის ებრაელებში ხელოვნებისადმი მისწრაფების აღმძვრელი, მეტათ მდაბიო ხარისხის ოპერეტკა, რამაც დაიპყრო საერთოთ მთელი ქართველი საზოგადოების გრძნობა (გარდა ფუტურისტებისა) და განდევნა სცენიდან ქართული პიესები.

**გაზეთ „ხმა ებრაელისა"**—მოულოდნელი ლახვარი ი. და მ. ხანანაშვილებისთვის; სიმპატიური დასაწყისი, რაც ქართველ ებრაელობას მომავალში დიდ სარგებლობას მოუტანს.

**რაბინი დ. ბააზოვი**—ქუთაისის ხახმებისთვის მალახ ჰამავეთი (სიკვდილის ანგელოზი)!

**არჩევნები**—ქუთაისის ებრაელები ხმას აძლევენ პირველ ნომერს. რისთვის?.....

**მახეზლრობა**—ჩვეულებრივთ საშვალება და ხერხი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ხახმები და მოსეს რჯულის მიმდევრები სიონისტებთან ბრძოლაში.

**ი. და მ. ხანანაშვილები**—საქართველოში რენეგატობის სიმბოლო.

სო—ლი.

## უკანასკნელი საათი

მიღებულია ცნობები კონსტანტინოპოლიდან, რომ ებრაელთა საკითხმა საზოგადოთ და განსაკუთრებით პალესტინის საკითხმა, მიიღო საზაო კონფერენციაზე ფრიად საბედნიერო ვითარება. სულ ახლო მომავალში გამოქვეყნდება ახალი დოკუმენტები ისტორიული მნიშვნელობისა.

## ერეც-ისრაელი.

— აგვისტოს პირველ რიცხვებში სრულიათ დამთავრდა ყურძნის მოკრეფა, დარჩა მცირე რიცხვი მოუკრეფელი ყურძნისა, რომელიც გადადებულია ტკბილი ღვინისა და ალკოგოლიის გასაკეთებლათ.

— იაფაში გაიხსნა ებრაული სახალხო სახლი.

— ამა წლის აგვისტოდან იერუსალიმში დაიწყო გამოსვლა მეორე ყოველდღიურმა გაზეთმა „დოარ აიომ" (დღიური ფოშტა); გამოცემა საა;ციონერო საზოგადოებისა „ჰასოლელ".

— ერეც-ისრაელში მთავარ სასამართლოს უფროსათ დანიშნულია გამოჩენილი ბენტვიჩი.

მიღებულია რადიო **იაკობ შიფი**(ს)**ან**, რომ ის აძლევს საზოგადოება „ჰადასას" 10,000 დოლარს ქალაქ ტებარიაში საავადმყოფოს მოსასყობათ.

## ებრაელთა ცხოვრებიდან.

**იმიგრაცია ამერიკაში.**

ამერიკული გაზეთები უარყოფენ ცნობებს ამერიკაში შესვლის აღკრძალვის შესახებ. უკანასკნელ თვეებში ნებართვა მიულია რამოდენიმე ასეულ პოლონეთის ებრაელებს ამერიკაში გადასახლებისა და მათ მოსთხოვეს მხოლოდ რომელიმე ენაზე წერა კითხვის ცოდნა.

**ეროვნული რაზმი.**

რუმინიის ებრაელები აღგენენ ებრაულ რაზმს პალესტინისთვის. უკვე ჩაეწერენ 5000-ამდე მოხალისე. ამერიკის და ინგლისის ელჩები დახმარებას უწევენ ამ საქმის მოსაგვარებლათ. რუმინიის მინისტრთა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო ამ რაზმის შექმნაზე.

ახლო მომავალში ეს რაზმი გაემგზავრება პალესტინაში.

**კიდევ პოგრომი.**

კიევი. პეტლიურას ჯარების ინსპექტორი გავრისკო აფრთხილებს ებრაელ ახალგაზდობას ბოლშევიკურ ავანტიურაში მონაწილეობისაგან და მოუწოდებს ებრაელ მცხოვრებლებს რესპუბლიკანური ჯარის ლოიალობას. მოწოდების შემდეგ ბანდებმა კიდევ მოახდინეს პოგრომი ებრაელ მშვიდობიან მცხოვრებლებზე.

**პოგრომების მსხვერპლთა დახმარება.**

**კიევი.** უკრაინის საბჭოთა მთავრობამ გადასდო ასი (100) მილიონი მანეთი პოგრომებში დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოთ.

-- ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ, ვინაიდან ის შეუწყვეტელი უწესრიგობა და დაცემა ებრაელებზე, რომელსაც ადგილი აქვს ბუდაპეშტში, შეიძლება გადავიდეს რუმინიის ტერიტორიაზედაც, გამოცემულია კანონი, რომლის ძალითაც ებრაელებზე დამცემი დაისჯება სიკვდილით.

## თბილისი.

*(ჩვენი კორესპონდენტისგან).*

აგერ ორი წელიწადი სრულდება, რაც აქ არსებობს ქართველ ებრაელთა ოთხკლასიანი სასწავლებელი, სადაც მეცადინეობა სწარმოებს მხოლოდ ებრაულ ენაზე. სკოლას მეთაურობენ კარგათ მცოდნე ებრაული ენისა, ახალგაზდა მწერალი ნ. ელიაშვილი და ი. დავარაშვილი. ამ შკოლაში აქამდის ასწავლიდენ მხოლოდ ებრაულ საგნებს: ებრაულ ენას, ისტორიას, ლიტერატურას, სალვთო სჯულს და სხვ. ეხლა განზრახულია ამ წლიდან შეიტანონ შკოლის პროგრამაში აგრეთვე სხვა საგნებიც, როგორც, მაგ. ქართული ენა და ისტორია, რუსული ენა და სხვ.

მრავალი ქართველ ებრაელთა ბავში სწავლობს აგრეთვე ებრაულ გიმნაზიაშიდაც. საზოგადოთ სწავლის და აღზრდის საქმე თბილისში მაღლა დგას, ვინემ სხვა ადგილებზე.

სიონისტური მუშაობა აქ დიდი მასშტაბით სწარმოებს. ნაყოფიერათ მუშაობს აგრეთვე განათლების საზოგადოება „თარბუთი," რომელიც აწყობს შკოლებს, ლიტერატურულ საღამოებს, ლექციებს, რეფერატებს და სხვ. „თარბუთს" განზრახვა აქვს ამ ახლო მომავალში გამოსცეს ყოველ კვირეული ჟურნალი ებრაულ ენაზე.

თბილისის ებრაელობა უკვე ემზადება ეროვნული საბჭოს არჩევნებისათვის, რომლებიც მოხდება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

ბ. ია.

## ბათუმი.

**პალესტინაში წასვლა.**

ბათუმის ებრაულმა ეროვნულმა საბჭომ მიიღო ნებართვა პალესტინაში გამგზავრების 17 ლტოლვილთათვის.

## ქუთაისი.

= ქუთაისში დაბრუნდენ განთავისუფლებული ვაჭრები-ებრაელები, რომელნიც შეცდომით დაპატიმრებულ იყვნენ კონსტანტინოპოლში.

სიონისტთა კლუბის დარბაზში გაიხსნა უფასო სამკითხველო. სამკითხველო ღიაა ყოველ დღე 4—7 საათამდის.

**ბანძა.**

დიდი აღელვება გამოიწვია ჩვენში იმ საზიზღარ გამოსვლებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონია ქუთაისში ხახმებ-კლერიკალთა მიერ ხახამ დავარაშვილის მეთაურობით. ამის გამო მოხდა საჩქარო კრება ორგანიზაცია „ხეთი-ბასი" დავით ბჯიაშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც დაავალა თავმჯდომარეს სასტიკი პროტესტი გამოაცხადოს პრესის საშუალებით ხსენებულ ორგანიზაციის სახელით მოშე დავარაშვილისა და მისი ამქარების პროვოკაციული სიონისტთა საწინააღმდეგოთ გამოსვლების წინააღმდეგ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ ნო „ხამო!"

ვინაიდგან გაზ. „სოც — დემოკრატი"ს უკანასკნელ ნომერში მე თქვენი პასუხი ვერ მოვნახე და აქამდის არ მიგიღიათ ჩემი წინადადება სამედიატორო სამართალში გამოყოლის შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ დანიშნული ვადა კაი ხანია გავიდა, ამისათვის მე ამით **მესამეთ** ვადასტურებ ჩემს შეურყეველ გადაწყვეტილებას სამედიატორო სასამართლოს საშვალებით გაირჩეს ჩვენი საქმე და კიდევ გაძლევ წინადადებას დღეიდან 48 საათის განმავლობაში დაასახელოთ თქვენი მედიატორები. მხედველობაში არ შემიძლია მივიღო დანიშნულ ვადისთვის „სოც—დემ." გამოუსვლელობა და საქმის ამით ზედმეტი გაჭიანურება. წინაღმდეგ შემთხვევაში, მე ვიტევებ მოქმედების სრულ თავისუფლებას.

ბ. კაკიტელაშვილი.

## შემოწირულება.

გაზეთ „ხმა ებრაელისა" სასარგებლოთ ი. მოშიაშვილმა 350 მან. ს. კაკიტელაშვილმა—200 მან. ექიმ ი. მინოვიჩმა 50 მან. სულ—600 მან. რედაქცია გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

**გამოცემა სიონისტთა ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის.**

კბილის სამკურნალო

**შ. ნ. ნამიოტისა.**

**მეტათ ხელსაყრელ ფასებში** შეიძლება დაავათმყოფებულ კბილების აქიმობა, კბილის მოძრობა უტკივრათ, პლომბების გაკეთება და ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, როგორც ოქროსი, აგრეთვე კაუჩუკისა.

მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე, გარდა შაბათებისა და ებრაულ უქმეებისა. მისამართი: მიხაილოვის ქუჩა, ჩიქოვანის სახლი, წითელ ხიდთან.

ექიმი **პ. ზ. კოკოჩაშვილი**

იღებს შინაგან, ყურის, ცხვირის და ყელის ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 12—1 საათამდე და საღამოს 5—7-ამდე. გაგარინის ქუჩა, № 5. სახლი ფირალოვისა.

დოქტორი მედიცინისა

**გ. ი. პკიტელაშვილი**

იღებს ქალთა და ბავშვთა ავათმყოფებს. ელექტრონის სამკურნალო, შარდის ბუშტის ელექტრონით განათება და წამლობა, პარალიჩიანების აქიმობა.

მიღება ავათმყოფებისა: 8—12 და 4 7 საათამდე.

**პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი.**

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, სახლი ძმ. ბერუჩოვებისა, ქუთაისში